ქრისტინი

სტივენ კინგი

2016-04-14

სტივენ კინგი

Top თრიღერი

მთარგმნეღი ნიკა სამუშია

რედაქტორი ღია შარვაშიძე
კორექტორები: მაია შვეიიძე, ღიკა თავართქიღაძე
დიზაინერი გიორგი ღეჟავა
ტექნიკური რედაქტორი ღევან კოღუაშვიღი
კომპიუტერული უზრუნველყოფა ღევან ღაცაბიძე
პროექტის მენეჯერი ანი თოდრია

Originally published as CHRISTINE by Stephen King
Copyright ©1983 by Stephen King
All rights reserved

© **გამომცემლობა პაღიტრა L, 2016**
ყველა უფლება დაცულია

*** * ***

«ქრისტინი» მრავალფეროვანი, სულისშემკვრელი, საოცარი, განსხვავებული და გამაოგნებელი თრილერია.

სტივენ კინგის სამყაროში საქმეები მარტივად არ გვარდება. მისი წერის სუფთა და ზუსტი მანერა გვახსენებს «ნათებას». ავტორს მსუბუქად გადაჰყავს მკითხველი დამაჯერებელი ამბიდან რაღაც დაუჯერებელ ამბავზე. რეჟისორ სტივენ სპილბერგივით კინგიც არაცოცხალი საგნების გაცოცხლების ოსტატია».

The New York Times Books Review

«როგორც მთხრობელი, კინგი შეუდარებელი, უნაკლო და დაუმარცხებელია. მან მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი და მოიპოვა აღიარება».

The Times

«გასაოცარია... კინგი უმაგრესი მწერალია. ოსტატობით მას ვერავინ შეედრება».

San Francisco Chronicle

«ქრისტინი» კინგის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია... ჰორორის მეფე დაბრუნდა!»

Publishers Weekly

«სტივენ კინგი ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი მწერალია. მისი თითოეული რომანი ამის საუკეთესო დადასტურებაა».

Scotsman

«სტივენ კინგი უდავოდ უნიჭიერესი მწერალია».

Guardian

«ყველაფერი მაშინ დაიწყო, როდესაც არნის ქრისტინი დანახვისთანავე თავდავიწყებით შეუყვარდა. ამის შემდეგ მისი ცხოვრება შეიცვალა. მკითხველს აუცილებლად დააინტერესებს ამ ბოროტი მანქანის სისხლიანი ისტორიები».

Kirkus Review

«ქრისტინი» ჩემი ერთ-ერთი საყვარელი რომანია სტივენ კინგის შემოქმედებიდან. ბევრ ავტორს დაუწერია მოჯადოებულ სახლებზე, მაგრამ მხოლოდ ერთადერთი ამბავი მახსენდება მოჯადოებულ მანქანაზე და ეს ქრისტინია. ძალიან მომწონს კინგის სტილი, თუ როგორ აღწერს ქრისტინს. ძალიან მარტივი ხდება იმის გაგება, რატომ შეგვიძლია ვიფიქროთ ქრისტინზე როგორც არნის გოგონაზე, ის ხომ მისი დამცველი და ეჭვიანი სატრფოა».

სტივენ სპიდბერგი

«კინგმა ეს შეძლო. თვალისმომჭრელად, ძალიან კარგად დაწერილი წიგნია. თითოეული დეტალი მნიშვნელოვანია. «ქრისტინს» ყველაფერი აქვს, რაც თრილერს სჭირდება».

Los Angeles Times

«ეს იდუმალებით სავსე და დამაინტრიგებელი ისტორიაა. სწორედ ამიტომ მიანიჭეს კინგს «ლოს-ანჯელეს თაიმსის» პრემია «მისტიკა» თრილერის ჟანრში. იგი საშინელებათა ლიტერატურის დიდოსტატია».

USA Today

ავტორის შენიშვნა

წიგნში მოყვანილი სიმღერის ტექსტების ქვეშ ამ სიმღერების ყველაზე ცნობილი შემსრულებელი (ან შემსრულებელი მუსიკალური ჯგუფები) არის მითითებული. შესაძლოა, ამან პურისტები აღაშფოთოს, აქაოდა, სიმღერის ტექსტი მის ავტორს უფრო ეკუთვნის, ვიდრე მომღერალსო. პურისტი შემეკამათება, რაც თქვენ ქენით, იგივეა, მარკ ტვენის შემოქმედება ჰელ ჰოლბრუკსს მიაწეროო. ამ აზრს ვერ დავეთანხმები. როგორც «როლინგ სტოუნზი» მღერის, «მთავარია მომღერალი და არა – სიმღერა». მიუხედავად ამისა, მადლობას ვუხდი სიმღერის ავტორებსაც და შემსრულებლებსაც, განსაკუთრებით ჩაკ ბერის, ბრიუს სპრინგსტინს, ბრაიან უილსონს... და დუეტ «ჯენი და დინის» წევრ ჯენ ბერის, რომელიც სიკვდილს ხელიდან დაუსხლტა.

სიმღერის ტექსტების წიგნში გამოყენების უფლების მოპოვება რთული საქმეა და მსურს მადლობა გადავუხადო მათ, ვინც ამ სიმღერების გახსენებაში დამეხმარა და მათი გამოყენების ნებართვაც მომაპოვებინა; ესენი არიან: როკის კრიტიკოსი და ისტორიკოსი დეივ მარში; ჯეიმზ ფიური, იგივე «დიდებული ჯონ მარშალი» და მისი ძმა პეტ ფიური; დები გელერი, პატრიშა დანინგი და პიტ ბეჩელერი. დიდი მადლობა, ხალხო, და დაე, ძველი ფირფიტები ისე არასდროს დაგფხაჭნოდეთ, რომ ველარ დაუკრან.

სტივენ კინგი

პროლოგი

შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ამბავი სასიყვარულო სამკუთხედზე არნი კანინგემს, ლი კებოტსა და, რა თქმა უნდა, ქრისტინს შორის. მაგრამ მინდა, იცოდეთ, რომ არნის ჯერ ქრისტინი შეუყვარდა, და თუმცა დარწმუნებით ვერ ვიტყვი (ვერ მოგატყუებთ, ოცდაორი წლისამ სიბრძნის უმაღლეს მწვერვალს მივაღწიე-მეთქი), ვფიქრობ, ის მისი ერთადერთი ნამდვილი სიყვარული იყო. ამიტომ მომხდარს ტრაგედიას ვუწოდებ.

მე და არნი ერთ უბანში გავიზარდეთ, ოუენ ენდრიუსის დაწყებით კლასიკურ სკოლასა და დერბის და ლიბერტივილის საშუალო სკოლებში ერთად ვიარეთ. ვფიქრობ, სწორედ ჩემი წყალობით გადარჩა არნი დამამთავრებელ კლასებში, თორემ ცოცხლად შესანსლავდნენ. უფროსკლასელებში მაგარ ტიპად ვითვლებოდი — ჰო, ვიცი, ეს არაფერსაც არ ნიშნავს; სკოლის დამთავრებიდან ხუთი წლის შემდეგ ღუდსაც კი არავინ დაგაღლევინებს იმის გამო, რომ სკოლათა სპორტული ასოციაციის მოცურავე და ფეხბურთისა და ბეისბოლის გუნდების კაპიტანი იყავი — მაგრამ რადგან პატივს მცემდნენ, არნი, სხვა თუ არაფერი, არ მოუკლავთ მაინც. კი ჩაგრავდნენ, მაგრამ არავის მოუკლავს.

ხელმოცარული ტიპი იყო. ყველა სკოლაში უნდა იყოს მინიმუმ ორი ასეთი; დაუწერელი კანონია. ერთი ბიჭი და ერთი გოგო. ყველას ნაგავსაყრელები. ცუდი დღე გაქვს? გამოცდაში ჩაიჭერი? მშობლებთან უთანხმოება მოგივიდა და შაბათ-კვირას სახლიდან არ გიშვებენ? პრობლემა არაა. ზარის დარეკვამდე დერეფნებში ბოროტმოქმედებივით ჩქარი ნაბიჯებით მოძრავი ეს საცოდავი ტომრები მონახე და ბოღმა მათ გადაანთხიე. ხანდახან მათ ხოცავენ კიდეც, ყველანაირად, მხოლოდ ფიზიკურად არა; ხანდახან ეს საბრალოები ხელმოსაჭიდს პოულობენ და ამით სულდგმულობენ. არნის მე ვყავდი. შემდეგ ქრისტინი. ლი ბოლოს გამოჩნდა.

მინდოდა, ეს გცოდნოდათ.

არნი ყველასგან გარიყული იყო. ათლეტად ვერ ივარგა, ისეთი გაღეული იყო — ას სამოცდაჩვიდმეტი სანტიმეტრი სიმაღლისა, სამოცდარვა კილოგრამს იწონიდა ტანსაცმლიანად და ბათინკებიანად. სკოლის ინტელექტუალებს არ სჭირდებოდათ (თავადაც საკმაოდ «გარიყული» ჯგუფს ისეთ ქალაქში, როგორიც ლიბერტივილია), რადგან სპეციალობა არ ჰქონდა. არნი ჭკვიანი იყო, მაგრამ ყურადღებას ვერაფერზე ამახვილებდა... თუ საქმე ავტომექანიკას არ ეხებოდა. აი, ეს კი ძალიან კარგად გამოსდიოდა. მანქანებში კარგად ერკვეოდა, თითქოს ამ საქმისთვის იყო გაჩენილი, მაგრამ მისი მშობლები, ჰორლიკსის უნივერსიტეტის ლექტორები, ვერაფრით გადაიტანდნენ, მათ ნიჭიერ შვილს რომ ავტოხელოსნობა ესწავლა. არნი იმითაც კმაყოფილი უნდა ყოფილიყო, რომ ავტომექანიკის პროფესიულ კურსებზე ატარეს. ამისთვისაც დიდი ბრძოლის გადატანა დასჭირდა მშობლებთან. არც პლანაქეშებს სჭირდებოდათ, რადგან არ ეწეოდა. არც ჯინსიან და ტყავისქურთუკიან მაჩოებს სჭირდებოდათ, რადგან ვერ სვამდა და თუ საკმარისად ძლიერად დაარტყამდით, ტირილს იწყებდა.

ჰო, მართლა, არც გოგოებთან უმართლებდა. მის ჯირკვლებს ყველაფერი რიგზე ვერ ჰქონდა. იმის თქმა მინდა, რომ არნი ნამდვილი მუწუკების ტყე იყო. დღეში, აღბათ, ხუთჯერ იბანდა ხელ-პირს, კვირაში მინიმუმ ოცჯერ იღებდა შხაპს და თანამედროვე